

ჰაინც ფენრიხი

ცირა ვარდოსანიძე

თსუ, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი.

რეზიუმე: სტატიაში მიმოხილულია გერმანელი ქართველოლოგის ჰაინც ფენრიხის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა. ჰაინც ფენრიხს ქართველოლოგიის, ძირითადად ქართული ენათმეცნიერების, მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს 50 წიგნი და 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილია ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუში. ქართველოლოგიის დარგში მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს ჯილდოები და საპატიო წოდებები. იგი იყო დამაარსებელი და უცვლელი რედაქტორი 2006 წლამდე გერმანულენოვანი ჟურნალის „გეოგრაფიკა“. სტატიას თან ერთვის ჰაინც ფენრიხის მიერ გამოქვეყნებული წიგნებისა და თარგმანების ნუსხა.

საკვანძო სიტყვები: ჰაინც ფენრიხი, ქართველოლოგია

ჰაინც ფენრიხი დაიბადა 1941 წელს გერმანიის სოფელ ჰამერში. 1960-1965 წწ. იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობდა კავკასიოლოგიის მიმართულებით. 1967 წლიდან იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, პროფესორ აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით. ჰაინც ფენრიხმა იენის უნივერსიტეტში 1965 წელს დაიცვა სადიპლომო, ხოლო 1969 წელს საკანდიდატო ნაშრომი. 1971 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა მისი სადოქტორო ნაშრომის დაცვა. ჰაინც ფენრიხი 2006 წლამდე (პენსიის ასაკამდე) მუშაობდა პროფესორად იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობდა კავკასიოლოგიის დარგს. ასწავლიდა შემდეგ საგნებს: ახალი

ქართული ენა, შესავალი ქართველურ ენებში, შესავალი კავკასიურ ენებში, კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართულიდან გერმანულზე თარგმნის პრაქტიკა, ქართული ენის სასაუბრო კურსი, ძველი ქართული ენა, ქართული ტოპონიმია, ქართველური ფუძე-ენის ლექსიკა, ქართველურ ენათა სხვა ენებთან დაკავშირების პრობლემატიკა, ხუნძური ენა, ანდური ენა, უდიური ენა, თაბასარანული ენა, აღლური ენა, საქართველოს მხარეთმცოდნეობა, ქართული ლიტერატურა, კავკასიოლოგიის აქტუალური პრობლემები, ეთნიკურ უმცირესობათა ვითარება საქართველოს რესპუბლიკაში, ქართული მითოლოგია, საქართველოს ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია.

ჰაინც ფენრიხი არის დაახლოებით 50 წიგნის და 200-მდე წერილის ავტორი. მას მინიჭებული აქვს შემდეგი ჯილდოები და საპატიო წოდებები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, აკაკი შანიძის პრემია, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის ტიტული, მარი ზროსეს პრემია, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრობა, ანტონ I ბაგრატიონის ოქროს მედალი.

ჰაინც ფენრიხის მიერ ათეული წლების მანძილზე ქართული ლიტერატურის მიმართულეებით ჩატარებული კვლევითი საქმიანობის შედეგმა თავი მოიყარა მის წიგნებში „ქართული ლიტერატურა“, რომელიც 1981 წელს გამოიცა თბილისში: Fähnrich, H., Die georgische Literatur, Ein Überblick, Tbilisi: Sabtschota Sakartwelo 1981, ხოლო 1993 წელს აახენში: FäFähnrich, H., Georgische Literatur, Aachen: Shaker 1993. წიგნის მიზანია მოკლე მიმოხილვის სახით მკითხველს გააცნოს ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, წარმოაჩინოს ქართული მწერლობის შექმნისა და განვითარების ხანგრძლივი პროცესი, ფართოდ და საფუძვლიანად მიმოიხილოს თანამედროვე ლიტერატურა.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ლაიპციგის ბიბლიოგრაფიის ინსტიტუტის

მიერ 1977-80-იან წლებში გამოცემულ „უცხოენოვან მწერალთა ლექსიკონის“ სამტომეულში წარმოდგენილი „ქართული მონაკვეთი“ მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული, ვინაიდან ამ სტატიის ავტორია გერმანელი ქართველოლოგი, პროფესორი ჰაინც ფენრიხი.

ჰაინც ფენრიხი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მან თარგმნა და გამოაქვეყნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1973), გიორგი კეჭალაძის „ჩემი პატარა ლანდი“ (1974), გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“ (1975) და „დიდი ღამე“ (1978), მიხეილ ჩიქოვანის მიერ დამუშავებული „თქმულება ამირანზე“ (1978), „ქართული ზღაპრების“ კრებული (1980), მანვე თარგმნა გალაკტიონ ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე“ და „დროშები ჩქარა“. ეს ორი ლექსი დაიბეჭდა ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე ქართველოლოჟის“ 1972 წლის 29-30 ტომებში. ჰაინც ფენრიხმა თარგმანს სტატიაც წაუშეშვარა, რომელშიც მოკლედ მიმოიხილა გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება. ქართულ-სახელმწიფო-ლიტერატურული ურთიერთობების ცნობილმა მკვლევარმა ს. თურნავამ ჰაინც ფენრიხის თარგმანების ორიგინალთან შედარებისას დაასკვნა, რომ საქმე გვაქვს თარგმნის ხელოვნების დიდ ოსტატთან, როგორც პოეზიის, ისე პროზის დარგში. იმისათვის, რომ ჰაინც ფენრიხი გერმანულ ენაზე ეთარგმნა „ლაშარელა“ საგანგებოდ შეუსწავლია საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ორიგინალში წაუკითხავს „ქართლის ცხოვრება“, ქართველ მეცნიერთა ნაშრომები (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია).

ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იენის ფრიდრიხ შილერისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივმა სამეცნიერო გერმანულენოვანმა ჟურნალმა „გეოგრაფია“. ჟურნალის დამაარსებელი (1978 წ.) და უცვლელი რედაქტორი გერმანიის მხრიდან იყო ჰაინც ფენრიხი, საქართველოს მხრიდან იყო ჯერ შოთა ძიძიგური, შემდეგ მარიამ ლორთქიფანიძე. ჟურნალის დაარსებას წინ უძღოდა ჰ.

ფენრიხის ინიციატივით გამოცემული სამი ნომერი ფრ. შილერის უნივერსიტეტის შრომებისა სათაურით „საქართველო“ (1973, 1975, 1977 წწ.). ჟურნალი „გეორგიკა“ დაარსებიდანვე გამოდიოდა ქ. იენაში. 1990-2002 წლებში კი ქ. კონსტანცაში და იყო ოთხი უნივერსიტეტის – იენის, თბილისის, საარბრუკენისა და კონსტანცის უნივერსიტეტების ერთობლივი ორგანო. 2002-2005 წლებში ჟურნალი გამოიცა ქ. აახენში. 2006 წლიდან ჟურნალი გამოდის ბერლინში ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის შტეფი ხოტივარი-იუნგერის ხელმძღვანელობით.

ჰაინც ფენრიხის სამეცნიერო მოღვაწეობის უმთავრესი მიმართულებაა ენათმეცნიერება, კერძოდ ქართული და ქართველური ენების მეცნიერული შესწავლა. ამ მიმართულებით ფუნდამენტური და ქართველური ენების სპეციალისტთათვის სამაგიდო წიგნია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც რამდენიმე რედაქციითაა გამოცემული გერმანულ და ქართულ ენებზე პროფ. ზ. სარჯველაძესთან ერთად. 2007 წელს ჰაინც ფენრიხმა გამოსცა ამ შრომის შევსებული და გადამუშავებული ფუნდამენტალური წიგნი: *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch von Heinz Fähnrich* (Brill) Leiden, Boston 2007.

სულ ახლახან ქართველოლოგიურმა მეცნიერებამ საჩუქრად მიიღო ჰაინც ფენრიხის ფუნდამენტური სქელტანიანის ნაშრომი „საქართველოს ისტორია“: *Geschichte Georgiens von Heinz Fähnrich* (Brill) Leiden, Boston 2010.

აქვე ვაქვეყნებთ ჰაინც ფენრიხის ნაშრომების ძირითად ნუსხას (მონოგრაფიები და თარგმანები)

მონოგრაფიები:

1. ფენრიხი, ჰ., ენათა გენეტური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძემენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1978, 136 გვ. Fähnrich, H., *Die georgische*

- Literatur, Ein Überblick, Tbilisi: Sabtschota Sakartwelo 1981, 272S.
2. Fähnrich, H., Kurze Grammatik der georgischen Sprache, Leipzig: Enzyklopädie 1986, 191 S.; მეორე და მესამე ტირაჟი 1987, 1993.
 3. Nadareishwili, N., Babunashwili E., Fähnrich, H., Georgisch-Russisch-Deutsches Gesprächsbuch, Tbilisi: Ganatleba 1987, 224 S.
 4. ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველური ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა 1990, 620 გვ.
 5. Fähnrich, H., An der silbernen Stirn der Erde, Reisen in Georgien, Aachen: Shaker 1993, 282 S.
 6. Fähnrich, H., Georgische Literatur, Aachen: Shaker 1993, 219 S.
 7. Fähnrich, H., Geschichte Georgiens, Von den Anfängen bis zur Mongolenherrschaft, Aachen: Shaker 1993, 200 S.
 8. Fähnrich, H., Georgische Schriftsteller, A-Z, Aachen: Shaker 1993, 306 S.
 9. Fähnrich, H., Grammatik der altgeorgischen Sprache, Hamburg: Buske 1994, 269 S.
 10. Fähnrich, H., Sardshweladse S., Etymologisches Wörterbuch der Kartwel-Sprachen, Leiden/New York/Köln: Brill 1995, 682 S.
 11. Fähnrich, H., Gedanken zur kartwelischen Rekonstruktion, Jena: FSU 1998, 54 S.
 12. Fähnrich, H., Georgische Toponymie, Jena: FSU 1998, 124 S.
 13. Fähnrich, H., Kleines Udisch-Deutsches Wörterverzeichnis, Jena: FSU 1999, 43 S.
 14. Fähnrich, H., Lexikon Georgische Mythologie, Wiesbaden: Reichert 1999, 359 S.
 15. Sardshweladse, S., Fähnrich, H., Altgeorgisch-deutsches Wörterbuch, Hamburg: Buske 1999, 313 S.
 16. Fähnrich, H., Kartwelischer Wortschatz, Ergänzungen zum etymologischen Wörterbuch der Kartwelsprachen, Jena: FSU 2000, 59 S.

17. ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: ორბელიანის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა 2000, 815 გვ.
18. Fähnrich, H., Kleines Fachwortverzeichnis Sprachwissenschaft, Georgisch-Deutsch, Jena: FSU 2001, 54 S.
19. Fähnrich, H., Batsisch (Zowatuschisch) – Deutsches Wörterbuch, Jena: FSU 2001, 104 S.
20. Kadshaia O., Fähnrich, H., Mingrelisch-Deutsches Wörterbuch, Wiesbaden: Reichert 2001, 688 S.
21. Fähnrich, H., Kartwelische Wortschatzstudien, Jena: FSU 2002, 54 S.
22. Tschantladse, I., Babluani R., Fähnrich, H., Tscholurswanisch-Deutsches Verbenverzeichnis, Jena: FSU 2003, 96 S.
23. Fähnrich, H., Kleine Schriften, Jena:FSU 2003, 97 S.
24. Fähnrich, H.: Zur kaukasischen Sprachverwandtschaft, Jena:FSU 2005, 97 S.
25. Sardshweladse, S., Fähnrich, H., Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch, Leiden/Boston: Brill 2005, 1632 S.
26. Fähnrich, H., Beiträge zur Kartwelologie, Jena: FSU 2005, 118 S.
27. Fähnrich, H., Kulturland Georgien, Kurzführer für Touristen. Wiesbaden: Reichert 2007, 352 S.
28. Fähnrich, H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden/Boston: Brill 2007, 873 S.
29. Fähnrich, H., Linguistische Termini, Georgisch-Deutsch, Aachen: Shaker 2008, 82 S.
30. Fähnrich, H., Kartwelsprachen, Wiesbaden: Reichert 2008, 344S.
31. Fähnrich, H., In den Bergen der Götter, Alte Glaubensvorstellungen, Überlieferungen und Bräuche bei den Georgiern des Kaukasus, Wiesbaden: Reichert 2009, 151 S.

თარგმანები (წიგნად გამოცემულები):

1. Sulchan-Saba Orbeliani, Die Weisheit der Lüge, Deutsch von H. Fähnrich, Berlin: Rütten & Loening 1973
2. Giorgi Ketschaghmadse, Der kleine Schatten, Deutsch von H. Fähnrich, Berlin: Neues Leben 1974

3. Grigol Abaschidse, Lascharella, Deutsch von H. Fähnrich, Berlin: Rütten & Loening 1975.
4. Grigol Abaschidse, Die lange Nacht, Deutsch von H. Fähnrich, Berlin: Rütten & Loening 1978.
5. Das Buch vom Helden Amirani, Ein altgeorgischer Sagenkreis, Deutsch von H. Fähnrich, Leipzig/Weimar: Kiepenheuer 1978.
6. Georgische Märchen, Deutsch von H. Fähnrich, Leipzig Insel 1980.
7. Der Sieg von Bachtrioni, Sagen aus Georgien, Deutsch von H. Fähnrich, Leipzig/Weimar: Kiepenheuer 1984.
8. Märchen aus Swanetien, Deutsch von H. Fähnrich, Konstanz: Südverlag 1992.
9. Ein Wort zur rechten Zeit, Georgische Sprichwörter, Deutsch von H. Fähnrich, Aachen: Shaker 1994.
10. Lasische Märchen und Geschichten, Deutsch von H. Fähnrich, Aachen: Shaker 1995.
11. Märchen aus Georgien, Deutsch von H. Fähnrich, München: Diederichs 1995
12. Mingrelische Sagen, Deutsch von H. Fähnrich, Jena: FSU 1997.
13. Georgische Sagen und Legenden, Deutsch von H. Fähnrich, Blieskastel: Gollenstein 1998.
14. Chroniken der georgischen Königin Tamar, Deutsch von S. Sardshweladse und H. Fähnrich, Jena: FSU 1998, Aachen: Shaker 2004.
15. Mose Choneli, Amirandaredshani, Deutsch von S. Sardshweladse und H. Fähnrich, Jena: FSU 1999.
16. Abchasische Volksdichtung, Deutsch von H. Fähnrich, Jena: FSU 2000.
17. Giorgi Mertschule, Das Leben des Grigol von Chandsta, Deutsch von S. Sardshweladse und H. Fähnrich, Jena: FSU 2000.
18. Zwischen Felsen und Geschichten, Erzählungen aus Georgien, Deutsch von H. Fähnrich, Jena: FSU 2000, Aachen: Shaker 2004.
19. Mingrelische Märchen, Deutsch von H. Fähnrich, Jena: FSU 2001.

20. Giorgi Mzire, Das Leben des Giorgi Mtazmindeli, Deutsch von S. Sardshweladse und H. Fähnrich, Jena: FSU 2001.
21. Georgischer Wein, Kurzgeschichten vom Tschorochi bis zum Diklos Mta, Deutsch von H. Fähnrich, Jena: FSU 2001, Aachen: Shaker 2009.